საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული
სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტი

2022

წლის ანგარიში

ccd.court.ge

საერთო სასამართლოების ეროვნებისაქმეების წლის ანგარიში

2022

თბილისის სააპელაციო სასამართლო

- საერთო სასამართლოების დეპარატმენტის დაკვეთით, 2023 წელს დაიწყება თბილისის სააპელაციო სასამართლოს არსებული და ახლად გადმოცემული (ყოფილი კოლეჯი „მერმისის“ შენობის) სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- არსებული სასამართლო ბლოკების გარე სივრცული ტერიტორიული გეგმარება, გადაწყვეტილია (სპეციფიკიდან გამომდინარე) ისეთი სახით, რომ ტერიტორია სამ ნაწილად დაიყოფა:

  ა) სამოქალაქო მისასვლელი გარე სივრცე;

  ბ) სასამართლოს თანამშრომელთა მისასვლელი გარე სივრცე;

  გ) საბადრაგო სპეციალური გარე სივრცე.

- პროექტის მიხედვით დაგეგმილია, მოეწყოს დამატებითი სასამართლო სხდომათა დარბაზები, ახალი სამუშაო სივრცეები მოსამართლეთათვის და სასამართლოს სხვა თანამშრომელებისთვის, ასევე გათვალისწინებულია ე.წ პარკინგის მოწყობაც;

- საპროექტო დოკუმენტაციით განსაზღვრულია, ქ.თბილისის სააპელაციო სასამართლოს არსებული შენობა ნაგებობის „ა“,“ბ“,„გ“ ბლოკების გარე ტერიტორიის სრული რეკონსტრუქცია-კეთილმოწყობა და ნაწილობრივი (მცირე) შიდა რეკონსტრუქცია-სარემონტო სამუშაოები.

- არსებულ სასამართლო ბლოკებში, შესასვლელ ღია კიბეების თავზე მოეწყობა ახალი წინაფრები. უკანა ეზოში „ა“-ბლოკში, სასამართლოს თანამშრომელთათვის განკუთვნილი, დამატებითი შესასვლელის ხის კიბე, იცვლება ბეტონის კიბით.

- „ა“-ბლოკის სარდაფში არსებული საბადრაგო სივრცე იზრდება, ამ დროისთვის არსებული სარდაფის დაუტვირთავი ფართობის ტერიტორიაზე. სარდაფიდან მოხდება ნაყარი მიწის გატანა, არმირებული იატაკებისა და სივრცეების კეთილმოწყობა შესაბამისი ინფრასტრუქტურით, სადაც დამატებით განთავსდება 6 ახალი (საპატიმრო დროებითი განთავსების საკანი), ახალი საბადრაგოს სამყოფელი ოთახი და არსებულ-მოქმედ საბადრაგო სივრცესთან გამაერთიანებელი დერეფანი;
- ობიექტის ფუნქციური სპეციფიკიდან გამომდინარე, შენობის ერთი შესასვლელი წარმოადგენს თანამშრომელთა მისასვლელს, ხოლო მეორე განშტოება მოემსახურება პენიტენციალური სისტემის სპეც. მანქანებს. ამ კონკრეტული სტრუქტურისთვის კი სპეციალური დაცული ზონა იქნება გამოყოფილი.



- „ბ“ და „გ“ ბლოკებში შერჩეულ 15 კაბინეტში (სამუშაო ოთახში) ჩატარდება საჭირო სარემონტო სამუშაოები;
- „ა“და„ბ“ ბლოკებში არსებულ სხდომათა დარბაზებში არსებულ ავეჯს, ჩაუტარდება დაზიანებული ნაწილების აღდგენითი სამუშოები;
- განახლება ტერიტორიის შემომსაზღვრელი არსებული ღობეები.

- „ა“-ბლოკში ცენტრალური ნაწილი წარმოადგენს ატრიუმს, რომელიც სამ სართულზე კიბეებით აკავშირებს სასამართლო დარბაზებთან მისასვლელ, ბუნებრივად განათებულ ღია დერეფნებს;

- ცენტრალური ადგილი უკავია თემიდას ქანდაკებას, რომლის თავზეც მოწყობილია სახურავის, გადახურვის ფილის ღია ნაწილი. ატრიუმის ბუნებრივი ღია ნათება (გუმბათური ღია გადახურვა), აწყობილია მსუბუქ ლითონის კონსტრუქციაზე, დახურულია დამონტაჟებული კარბოლუქსის შუქგამტარი გამჭვირვალე ფილებით;

- პროექტი ითვალისწინებს ამ გადახურვის ცვლილებას. ახალი იზოპროფილის ცალმხრივად დახრილი ვიტრაჟული გადახურვით, რაც აღმოფხვრის შენობის თბოცვლას (დანაკარგს) გარემო პირობებთან მიმართებაში და მზის სხივის აგრესიულ, პირდაპირ შემოსვლას „ა“-ბლოკის შენობის ცენტრალური ფოიეს ატრიუმის სივრცეში.

- ცენტრალურ ფოიეში, პროექტი ასევე ითვალისწინებს ახალი პანორამული ლიფტის მოწყობას, რომელიც შეცვლილი სახურავის ვიტრაჟული გადახურვის ქვეშ, ატრიუმის მთელ სიმაღლეზე მოემსახურება სამივე სართულის ღია დერეფნებს. ახალი ლიფტის ამგვარად მოწყობა წარმოადგენს მისაწვდომობის გაუმჯობესებას პროცესის დამსწრე შშმ მოქალაქეთათვის.

თბილისის საკასაციო სასამართლო

- პროექტის მიხედვით დაგეგმილია, სასამართლოს შენობის გარე ტერიტორიის კეთილმოწყობა სრულად. შეიცვლება ასფალტირებული საავტომობილო გზა. მოეწყობა გამწვანება და მასთან ადაპტირებული სარწყავი სისტემით, რომლებიც შემოისაზღვრება ბაზალტის ბორდიურით;

- სასამართლო ბლოკების სრულ პერიმეტრზე მოეწყობა ახალი სარინელი, რომლის ქვეშ შენობებს გაუკეთდება ახალი სადრენაჟო სისტემა;



- დამეგმილია მოეწყოს, ცენტრალურ შესასვლელთან მისასვლელი ახალი ბეტონის ქვაფენილი (ძველი ამორტიზირებულის ნაცვლად);

- „გ“ ბლოკის შენობის შესასვლელთან მოხდება ახალი სამანქანო პარკირების დახაზვა;

- უკანა ეზოში მოეწყობა ახალი მსუბუქი კონსტრუქციის მანქანის სამრეცხაო;

- დამატებითი უსაფრთხოების ბუნებრივი გარემოს შექმნის მიზნობრიობიდან გამომდინარე, პროექტში გათვალისწინებულია არსებული ლითონის ღობის შეცვლა მასიური ბლოკის კედლის ღობით.

- სამოქალაქო ცენტრალურ შესასვლელსა და უკანა ეზოში, თანამშრომელთა ცენტრალურ შესასვლელთან, მოეწყობა წყლის დასალევი ფანტანები;

- თანამშრომელთა სამანქანო მისასვლელთან მოეწყობა ახალი საკონტროლო დაცვის ჯიხური;

- ტერიტორიაზე სრულად შეიცვლება გარე განათება (მოეწყობა ახალი ლამპიონები);

- დამატებით, ატრიუმის ცენტრალური ფოიეს სამივე სართულზე, მოეწყობა გათბობა-გაგრილებისა და სავენტილაციო სისტემები.

- საპროექტო დოკუმენტაციით ასევე განსაზღვრულია, არსებული შენობა ნაგებობის (ყოფილი სტამბის შენობა "მერმისი") რეკონსტრუქცია და მისთვის ახალი ფუნქციის მინიჭება, ახალი სააპელაციო სასამართლოს ფუნქციისთვის ადაპტირება.

- საპროექტო დოკუმენტაციით წარმოდგენილია სასამართლოს თორმეტი სივრცის დაგეგმარების პროექტი:

1. სივრცე მისაღებისთვის;
2. სივრცე მოქალაქეთა მომსახურების ფოიესთვის;
3. სივრცე სასამართლო დარბაზისთვის;
4. სივრცე კანცელარიის სამუშაო ოთახისთვის;
5. სივრცე დერეფანი - თანამშრომლებისთვის;
6. სივრცე მოსამართლის სამუშაო ოთახისთვის;
7. სივრცე მოსამართლის აპარატის სამუშაო ოთახისთვის;

საპროექტო დოკუმენტაციით წარმოდგენილია ასევე:

8. სივრცე კოლეგიის თავმჯდომარის სამუშაო ოთახისთვის;

9. სივრცე საკონფერენციო დარბაზისთვის;

10. სივრცე დერეფანი - თანამშრომლებისთვის;

11. სივრცე ავტოსადგომისთვის;

12. სივრცე საბადრაგოსთვის და საკნების დერეფნისთვის.

- მოსამართლის ტრიბუნასთან არსებული კედელი, მთელს სიმაღლეზე შეიმოსება აკრილის მდფ-ის ფილებით. სხვა სივრცეებში სრულად გამოიყენება, ინდუსტრიული ალუმინის ჭერი არმსტრონგის (ალუმინის) სისტემით;

- კედლებზე, მთელ სიმაღლეზე გაეკვრება ხმის საიზოლაციო სპეციალური მასალა.

- სასამართლო დარბაზების იატაკები მოპირკეთდება, მარმარილოს (მაღალი ცვეთისადმი მედეგობის ფილებით, სასამართლო დარბაზებში იატაკის დონიდან 1.20 სმ-ზე.

- სივრცეებში გამოყენებულ იქნება მაღალხარისხიანი მოსაპირკეთებელი მასალები, რათა უზრუნველყოფილი იყოს სამუშაო გარემოსა და პროცესის მაღალეფექტურობის მიღწევა;

- მოქალაქეთა მომსახურების ფოიე, დერეფნის სივრცის შესასვლელი ფოიეს იატაკი, მოპირკეთდება არასტანდარტული მარმარილოს მაღალი ხარისხის-მაღალი ცვეთისადმი მედეგობის ფილებით;

- მოქალაქეთა მისაღებ ფოიეში, ასევე დაიგება შშმ პირთა მიმმართველი სავალი საორიენტაციო ტაქტილური ბილიკები.

- ცენტრალურ ადგილს დაიკავებს საინფორმაციო განყოფილების სივრცე;

- სასამართლოს თანამშრომელთათვის განკუთვნილ ფოიეებში გამოყენებულ იქნება, მაღალი ცვეთისადმი მედეგობის სტანდარტული ფორმატის კერამოგრანიტის ფილები.

- სამუშაო სივრცეებში, კანცელარიის სამუშაო ფართში, მოსამართლის სამუშაო, მოსამართლის აპარატის სამუშაო ოთახი), კოლეგიის თავმჯდომარის სამუშაო ოთახი, საკონფერენციო დარბაზში-იატაკზე მოეწყობა მაღალხარისხიანი (მაღალი ცვეთისადმი მედეგობის) ლამინატი. კედლები შეიღებება მაღალი ხარისხიანი ეკო საღებავით, ჭერზე მოეწყობა ინდუსტრიული (ალუმინის) ამსტრონგის სისტემა.



- დახურულ ავტოსადგომზე მოხდება იატაკის მორკინვა და შეიღებება კედლები, ხოლო არსებული კესონური ჭერი შეიღებება მაღალხარისხიანი საღებავით.

- -3.80 ნიშნულზე არსებულ მსჯავრდებულთა დროებითი განათავსების საკნებსა და საბადრაგო სივრცის დერეფნებში, განხორციელდება იატაკის მორკინვა და შეღებვა ორ ფერში, მიმართულების ბილიკებისა და საკნების შესასვლელების ფერით დომინირებული გამოყოფით;

- ჭერს წარმოადგენს ამსტრონგის ალუმინის სისტემა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლო

❑ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს შენობა, 1898-1900 წლებში, აგებულია არქიტექტორ ალექსანდრე შინკევიჩის პროექტის მიხედვით და იგი უზენაესი სასამართლოს შენობის ანალოგიით აშენდა.

❑ სასამართლოს შენობა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს წარმოადგენს. შესაბამისად ყველა სამუშაო, როგორც პროექტირების, ისე რეაბილიტაციის ეტაპზე, მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით, შეთანხდა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსთან.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლო

- საპროექტო წინადადებით გათვალისწინებული იყო, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს შენობის, თანამედროვე სამშენებლო რეგულაციების მოთხოვნებთან და უსაფრთხოების ნორმებთან შესაბამისობაში მოსაყვანად, მის ინტერიერში სარემონტო და სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება, რაც გულისხმობდა სასამართლოს შენობის გადაგეგმარებას, რეაბილიტაციას, ახალი, დამოუკიდებელი სამუშაო სივრცეების გაჩენას და ა.შ.

- პროექტის მიხედვით გადაიხურა სასამართლოს დამხმარე ორი შენობა. აღნიშნული ნაგებობების სახურავი დაზიანებული იყო და ხდებოდა წყლის ჩამოდინება ინტერიერში.

- რეაბილიტაციის დროს, სრულად მოიხსნა არსებული ხის კონსტრუქცია და ძველი თუნუქის დაზიანებული მასალა;
- სახურავზე ასევე მოეწყო რკ.ბეტონის სარტყელი და შემდგომ ამისა განხორციელდა ახალი სახურავის მოწყობა, ხის კონსტრუქციითა და თუნუქის პროფილირებული ბურულით;
- შენობებზე ასევე მოეწყო ახალი სანივნივე და წყალგადამყვანი სისტემა.

- საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მოთხოვნით, პროექტი ითვალიწინებდა სამედიაციო სივრცეების მოწყობას;

- სასამართლოს შენობაში მოეწყო პროკურორის და ადვოკატის ოთახები, რომლებიც განთავსდა შენობის პირველ სართულზე. არსებული ოთახები საჭიროებდა სრულ რეაბილიტაციას- შეიცვლა ამორტიზირებული ხის იატაკი, მოეწყო ორმაგი არმირებული იატაკი, რადგან არსებული ხის კონსტრუქცია უკვე დაზიანებული იყო და აღდგენას არ ექვემდებარებოდა. მხოლოდ ამის შემდგომ დაიგო, მაღალი ხარისხის ლამინირებული იატაკი. განახლდა ინტერნეტის და ელ. ქსელები.

- მედიაციის, პროკურორისა და ადვოკატის ოთახებში, კედელი მოპირკეთდა 2.00 მეტრ სიმაღლეზე, ხის ფერი ლამინატის ფურცლებით, ხოლო დარჩენილი ნაწილი შეიღება მაღალი ხარისხის წყალემულსიური საღებავით.



- შენობის შესასვლელში, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად, მოეწყო პანდუსი შშმ პირთათვის და შესაბამისად განხორციელდა სასამართლოს ძირითადი შესასვლელის ადაპტირება;
- არსებულ პანდუსებს ჩაუტარდა სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები, შესაბამისად ისინი, სრულად ადაპირებული გახდა შშმ პირებისთვის. შეიცვლა ორივე პანდუსის სიგრძე, დაიგო არაპრიალა 3 მმ სისქის რუხი ფერის გრანიტის ფილები;
- პანდუსზე მოეწყო ქრომირებული ალუმინის უჟანგავი მოაჯირები;
- კიბისა და პანდუსის ორივე ბაქანი გადაიხურა ლითონის კონსტრუქციით, გამოყენებული იქნა ჭედური ორნამენტი.

- პანდუსის სახურავის მოსაწყობად გამოყენებულ იქნა გამჭვირვალე გამომწვარი შუშა;
- პანდუსებიდან შენობაში შესასვლელი ლითონის კარების ნაცვლად, მოეწყო 9 მმ სისქის, იზოალუმინის კარები, გამჭვირვალე შუშით;
- შენობის პირველ სართულზე მოეწყო ე.წ ტაქტილური ბილიკები.

- პროექტის მიხედვით რეაბილიტირდა საბადრაგო ბლოკი (დერეფნები, საკნები), რომელიც აღიჭურვა სამეთვალყურეო და სახანძრო სისტემით;

- საბადრაგოს სივრცეში არსებულ სველ წერტილს ჩაუტარდა სარემონტო სამუშაო, რომელიც გახდა ადაპირებული შშმ პირებისთვის.



- გადაგეგმარების შედეგად დამატებით მოეწყო ერთი წინასწარ დაკავების საკანი.

- დეპარტამენტის მხრიდან დაიგეგმა დამხმარე შენობაში, რომელიც იყო გაურემონტებელი, სასამართლოს თანამშრომელთათვის მოწყობილიყო სასადილო სივრცე, შესაბამისად რეაბილიტაცია განხორციელდა აღნიშნულ ფართშიც;
- რეაბილიტირდა ასევე სასადილოს ფართის უკანა ვერანდა, დამუშავდა მოაჯირები, მოეწყო საყვავილეები, სკამები;
- შეიცვალა ფასადზე გამავალი კარები და შეიღება ფასადი.

- აღნიშნულ სასადილო ფართში შეიცვალა დაზიანებული კარები;
- რეაბილიტირებული სასადილო სივრცე შემდგომ აღიჭურვა შესაბამისი ავეჯით და ტექნიკით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლო

- სააპელაციო სასამართლოს შენობის უკანა მხარეს, ეზოში არსებულ სველ წერტილს, რომელიც იდგა დამუკიდებლად, ჩაუტარდა დემონტაჟი, რადგან ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის მიხედვით, წარმოადგენდა ავარიულ შენობას.

- პროექტის მიხედვით დაიგეგმა ახალი შენობის აშენება, რომელიც ასევე შეთანხმებული იქნა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსთან;

- შესაბამისად აშენდა ახალი, დამოუკიდებელი შენობა სველი წერტილებისთვის, რომელიც განკუთვნილია ვიზიტორებისთვის.

- ახალი შენობა სრულად ადაპტირებულია შშმ პირებისთვის;

- ასევე სასამართლოს შენობის პირველ სართულზე მოეწყო, დამატებით სველი წერტილი მოქალაქეებისა და შშმ პირებისათვის, ხოლო არსებულ სველ წერტილებში ჩატარდა სარემონტო სამუშაოები.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლო

- სასამართლოს შენობის პირველ სართულზე მოეწყო, სასამართლოს სხდომათა დარბაზი სისხლის სამართლის საქმეთა განხილვისათვის. აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ ფართში ადრე განთავსებული იყო ქალაქ ქუთაისის სამუზეუმო არქივი.

- სასამართლოს და დეპარტამენტის წარმომადგენლების მოთხოვნით ფართი დაიცალა და განთავისუფლდა;

- დეპარტამენტის მხრიდან დაიგეგმა ყველა საჭირო სამუშაო, რათა აღნიშნულ ფართში მოწყობილიყო სხდომათა დარბაზი;

- გარდა სარეაბილიტაციო სამუშაოებისა, სრულად განახლდა სდომათა დარბაზისთვის საჭირო ავეჯი და ინვენტარი.



- შენობაში შიდა გადაგეგმარების შედეგად, მივიღეთ დამოუკიდებელი სამუშაო სივრცე , რისთვისაც არსებული დერეფანი გადაიტიხრა და მოეწყო ხუთი დამუკიდებელი სამუშაო ოთახი;

- ოთახების ტიხრებად გამოყენებული იქნა ორმაგი მუყაო-თაბაშირის ფურცლები- ხმის დამაცავი შრით. ოთახებში შესასველელი მოეწყო კორიდორიდან;

- სრულად რეაბილიტირდა კანცელარიის რამდენიმე ოთახი და დერეფანი.



- მთავარი ფასადიდან შესასვლელი ძველი კარი შეიცვლა ახალი ხის კარით, ხოლო გვერდის ფასადებზე არსებული რკინის კარები შეიცვლა იზოალუმინის ვიტრინებიანი კარებით.

- სარეაბილიტაციო სამუშაოების პირველი ეტაპი დასრულდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოში.

- საერთო სასამართლოების დეპარტამენტის დაკვეთით ქუთაისის საქალაქო სასამართლოში სარეაბილიტაციო სამუშაოები ორ ეტაპად განხორციელდება;
- პირველ ეტაპის სამუშაოები დასრულებულია, ხოლო მეორე ეპატის სამუშაოები, რომელისაც წინ უძღვოდა საპროექტო სამუშაოების ჩატარება, ასევე დასრულებულია. ამ ეტაპზე მიმდინარეობს სატენდერო პროცედურები, კონტრაქტორი კომპანიის მოძიების მიზნით.



- სარეაბილიტაციო სამუშაოების პირველ ეტაპზე გარემონტდა კიბის უჯრედები მთლიანად.

- სასამართლოს შენობის გარე პერიმეტრზე, ცენტრალურ შესასვლელ კიბეებზე, მოეწყო ალუმინის მოაჯირები;
- გარემონტდა პორტალი, შეცვალა გერბი და ასოები;
- გარემონტდა ცენტრალური კიბის უჯრედები;
- რეაბილიტირდა N1 დარბაზის ჭერი, სადაც ე.წ გიფსოკარდონის ჭერი შეიცვალა ალუმინის პერფორირებული ჭერით.

- სასამართლოს შენობის ცენტრალური ფოიეში და თავმჯდომარის ოთახში, დაზიანებული მეტალოპლასტმასის ფანჯრები შეიცვალა ალუმინის პროფილის ფანჯრებით;

- პროექტის თანახმად, რეაბილიტირდა ნაფიც მსაჯულთა ოთახი და სველი წერტილი;
- მიმდინარეობს ახალი გენერატორის მონტაჟის სამუშოები, რომლის შემდგომ ქალაქის ქსელიდან ელ.ენერგიის გათიშვის შემთხვევაში, სასამართლოს შენობა სრულად უზრუნველყოფილი იქნება ელ.ენერგიით.

- რაც შეეხება ქუთაისის საქალაქო სასამართლოში ჩასატარებელ მეორე ეტაპის სამუშაოებს, პროექტით გათვალისწინებულია, როგორც სადემონტაჟო, ასევე სამონტაჟო სამუშაოები უკანა, წინა ეზოსა და ასევე ქუჩის მხარეს;
- პროექტირების ეტაპზე ჩატარდა საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა.

- მომზადებული პროექტის მიხედვით განხორციელდება შემდეგი სამუშაოები:

  1) მაგისტრალური ელ.კაბელების დასამონტაჟებლად მოხდება ტრანშეის გაჭრა;

  2) უკანა ეზოს ტერიტორიაზე განხორციელდება ასფალტობეტონის საფარის რეაბილიტაცია;

  3) მოეწყობა ანაკრები რკ/ბეტონის სამკუთხა სანიაღვრე ღარი;

  4) შენობის მთელ პერიმეტრზე მოეწყობა სარინელი ასფალტობეტონის საფარით, რაც უზრუნველყოფს დაცული იქნეს შენობის საძირკველი წყლის ჩადინებისგან;

  5) არსებულ ჭებზე განხორციელდება ანჯამიანი თუჯის ხუფების მოწყობა;

  6) მოეწყობა სასმელი წლის შადრევანი მოქალაქეებისთვის.

- რა შეეხება, პროექტით გათვალისწინებულ ელ.სამონტაჟო სამუშაოებს, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს შენობის წინა და უკანა ეზოს მთელ პერიმეტრზე, გარე განათების ელექტროტექნიკური ნაწილი შესრულდება სამშენებლო ტექნოლოგიური ნახაზების საფუძველზე.



- დაგეგმილია ქსელის ელ. მომარაგების შემყვანი არსებული ელ. კაბელის დემონტაჟი, რომელიც მიწის ზევით ფასადს მიუყვება. ხოლო ახალი კაბელი გატარდება ორშრიან გოფრირებულ მილში და შემდგომ ჩაიდება ტრანშეაში მოქმედი ნორმების დაცვით.

- მოეწყობა ახალი ლიტონის ფარი 24 მოდულზე, სადაც მოეწყობა საპროექტო ავტომატური ამომრთველი ფარში და ა.შ.

ფოთის საქალაქო სასამართლო

- საერთო სასამართლოების დაკვეთით ფოთის საქალაქო სასამართლოში სარეაბილიტაციო სამუშოები განხორციელდა;

- ფოთის საქალაქო სასამართლოს შენობა 2000 წელს აშენდა. ის ერთ-ერთია შენობაა საქართველოში, რომელიც სპეციალურად სასამართლოსთვის აშენდა და მისი ფასადის დიზაინი მოსამართლის სავარძლის ანალოგიურ სტილში იყო გადაწყვეტილი.

- პროექტის ფარგლებში დაიგეგმა ახალი, თანამედროვე მასალებით შენობის ისტორიული იერსახის აღდგენა, არსებული საარქივო ფოტომასალის მიხედვით.

ფოთის საქალაქო სასამართლო

- საერთო სასამართლოების დეპარტამენტმა, სასამართლოს შენობაში სარეაბილიტაციო სამუშაოები კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსთან შეთანხმებული პროექტის საფუძველზე განახორციელა, რადგან შენობა მდებარეობს ისტორიულ ზონაში;

- საერთო სასამართლოების დეპარტამენტის დაკვეთით ფოთის საქალაქო სასასამართლოს შენობაში, სარეაბილიტაციო სამუშაოები ორ ეტაპად განხორციელდა.



ფოთის საქალაქო სასამართლო

- სასამართლოს შენობის ენერგო ეფექტურობის გაზრდის და ადგილობრივი კლიმატური პირობების გათვალისწინებით, სასამართლოს შენობის ფასადი შეიმოსა ე.წ. XPS-ის ფილებით არქიტექტურული დეტალების გათვალისწინებით;

- განხორციელდა ფასადის ე.წ მიუნხენის ტიპის შელესვა, ხოლო შემდგომ შეიღება მაღალი ხარისხის ნესტგამძლე ფასადის საღებავით;

- პროექტის მიხედვით განხორციელდა არქიტექტურული დეტალების აღდგენა;

- დეპარტამენტის მხრიდან დაიგეგმა სასამართლოს შენობის გადახურვის შეცვლა, რადგან დაზიანებული თუნუქის ფურცლებიდან ხდებოდა ნალექიანი ამინდის დროს წყლის ჩამოსვლა შენობაში.



- პროექტის ფარგლებში სრულად შეიცვალა შენობის გადახურვა, მათ შორის სახურავის ორგმინით დახურული გამჭვირვალე გადახურვის ნაწილიც, მოეწყო ახალი წყალგადამყვანი სისტემა.

ფოთის საქალაქო სასამართლო

- შენობის შესასვლელი გადაიხურა შუშით ალუმინის კონსტრუქციაზე;
- პანდუსზე, ცენტრალურ შესასვლელ და საბადრაგოს კიბეებზე, ბაქანზე დაიგო რუხი ფერის, არაპრიალა ზედაპირით ბუნებრივი გრანიტი;
- ეზოს მხრიდან, საბადრაგოში შესასველელი გადაიხურა შუშით, რკინა ბეტონის კონსტრუქციაზე;
- შენობის უკანა მხარეს, სახანძრო წყალმომარაგების სისტემისთვის მოეწყო რკინა-ბეტონის ავზი და ავზის გვერდით, მცირე ზომის შენობა მსუბუქი კონსტრუქციით და გადახურვით – ტუმბოებისთვის;
- კეთილმოეწყო ეზო, დაიგო ასფალტის საფარი, მოეწყო სარინელი ბორდიურებით;
- შეიცვლა ფასადზე არსებული მეტალოპლასტმასის ფანჯრის ღიობების კონფიგურაცია, ხოლო ახალი ფანჯრის ღიობები მოეწყო იზოალუმინის მასალისგან;
- ფასადის მხრიდან არსებული შესასვლელშია ძველი კარის ნაცვლად, მოეწყო ახალი იზოალუმინის კარი - თემიდას სტიკერით;
- შენობის ცოკოლზე (ოთხივე მხრიდან) მოეწყო დაბურჩატებული გრანიტის ფილები და კარნიზები.

- პანდუსის, კიბისა და მთავარი ბაქანის მოაჯირები მოეწყო ქრომირებული ალუმინის მასალისგან;
- ფასადზე მოეწყო სადროშეები და შშმ პირთათვის მანიშნებელი.

- შენობა ადაპტირდა შშმ პირთათვის;
- შენობის მთავარ შესასვლელში, კიბის უჯრედთან ერთად მოეწყო პანდუსი შეზღუდული შესაძლებლობების პირებისთვის;
- შშმ პირების საჭიროებებისათვის დამონტაჟდა ორი ლიფტი,
- გარე კიბეებზე, ბაქანზე, შენობის პირველ სართულზე შშმ პირების საჭიროებებისათვის მოეწყო ტაქტილური ბილიკები;
- შშმ პირების საჭიროებებისათვის ადაპტირდა ასევე საბადრაგო ბლოკი;
- შენობაში, ყველა სართულზე განთავსდა ავარიული გასასვლელების მანიშნებლები;



- სასამართლოს შენობის შიდა პერიმეტრზე ჩატარდა შემდეგი სახის სამუშაოები:

- განხორციელდა სასამართლოს შენობაში შიდა ფართების სრული რეაბილიტაცია;
- პროექტის მიხედვით, გარემონტდა ყველა სამუშაო ოთახი და სხდომათა დარბაზები;
- რეაბილიტირდა ფოიე, დერეფნები;
- განხორციელდა საბადრაგო ბლოკის სრული რეაბილიტაცია;
- შენობა აღიჭურვა, სახანძრო სტენდებით, საევაკუაციო გეგმით და პირველადი ქრობის საშუალებებით.



- პროექტის ფარგლებში მოეწყო საბავშვო ოთახი;
- რეაბილიტაციის შემდგომ, სამუშაო ოთახები აღიჭურვა შესაბამისი ავეჯით და ტექნიკით;
- დამონტაჟდა თანამედროვე გათბობა-გაგრილების და სავენტილაციო სისტემა.

ფოთის საქალაქო სასამართლო

- მედიაციის შესახებ საქართველოს კანონის ამოქმედების შესაბამისად, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 27.12.2019წ. N1/366 გადაწყვეტილებით, საერთო სასამართლოების დეპარტამენტმა სამედიაციო სივრცეების მოწყობა დაიწყო;
- აღნიშნული პროექტის ფარგლებში, ორი სამედიაციო სივრცე მოეწყო რეაბილიტირებულ ფოთის საქალაქო სასამართლოში.





- სასამართლოს თანამშრომელთათვის, დეპარტამენტის მიერ მოეწყო სასადილო ფართი, რომელიც აღიჭურვა შესაბამისი ავეჯით და ინვენტარით.

რუსთავის საქალაქო სასამართლო

- იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული, სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის დაკვეთით, რუსთავის საქალაქო სასამართლოს შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები განხორციელდა.

- პროექტის ფარგლებში გარემონტდა შენობის ქუჩაზე გამომავალი ფასადი;
- შშმ პირთათვის მოეწყო სველი წერტილი;
- სტანდარტების შესაბამისად მოხდა პანდუსის მოწყობა;
- ალუმინის მოაჯირები მოეწყო გარე შემოსასვლელ კიბეზე;
- რეაბილიტირდა საბადრაგოს ჭიშკარი.

- სრულად გარემონტდა საბადრაგო ბლოკი, სადაც მოეწყო გათბობა-გაგრილების სავენტილაციო სისტემები;
- გარემონტდა საბადრაგოდან სასამართლო დარბაზებისკენ მიმავალი კიბის უჯრედი;
- მოეწყო არასრულწოვანთა დროებითი მოთავსების საკანი.

- შენობაში განხორციელდა შიდა გადაგეგმარება, რითაც გაიზარდა სამუშაო ოთახების რაოდენობა;
- რეაბილიტირდა სხდომათა დარბაზი და ნაფიც მსაჯულთათვის გამოყოფილი სივრცე.

რუსთავის საქალაქო სასამართლო

- საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მიერ, მიმდინარეობს სასამართლოს შენობაზე გარე ლიფტის მოწყობის საპროექტო სამუშაოები.

- აღნიშნული პროექტი განხორციელდება USAID დაფინანსებით, თუმცა ყველა სტანდარტების დაცვით, პროექტის მომზადებას და რუსთავის მერიასთან შეთანხმების პროცედურებს დეპარტამენტი ახორციელებს.

სენაკის რაიონული სასამართლო

- იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული, სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის დაკვეთით, სენაკის რაიონულ სასამართლოში სარეაბილიტაციო სამუშაოები განხორციელდა.

- აღსანიშნავია, რომ სენაკის რაიონულ სასამართლოში, 2009 წლის შემდეგ, სარეაბილიტაციო სამუშაოები არ ჩატარებულა, რის გამოც სასამართლოს თანამშრომლებისთვის, აუცილებელი იყო სამუშაო პირობების გაუმჯობესება.

სენაკის რაიონული სასამართლო

- სენაკის რაიონულ სასამართლოში განხორციელდა პროექტით გათვალიწინებული შემდეგი სამუშაოები:

- განხორციელდა სასამართლოს შენობის ორივე სართულზე, არსებული სამუშაო ოთახების სრული რეაბილიტაცია;
- რეაბილიტირდა სხდომათა დარბაზები;
- შიდა გადაგეგმარების შედეგად, დამატებით მოეწყო ერთი სამუშაო ოთახი.

- სასამართლოს შენობა სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულების შემდეგ, აღიჭურვა შესაბამისი ავეჯით და ინვენტარით.

სენაკის საქალაქო სასამართლო

- სრულად რეაბილიტირდა სასამართლოს ფასადი, რომელიც შეიფუთა ე.წ „xps“-ის ფილებით, ხოლო შემდგომ ფაქტურულად დამუშავდა და შეიღება;
- განახლდა პორტალი;
- კეთილმოეწყო ეზო, სადაც დაიგო ბეტონის საფარი;
- მოეწყო სანიაღვრე ღარი, რითაც თავიდან იქნა აცილებული სასამართლოს ეზოში წყლის დაგროვება.



სენაკის რაიონული სასამართლო

- პროექტის ფარგლებში სრულად განახლდა შენობის ინფრასტრუქტურა;
- შეიცვალა შენობის კოროზირებული გადახურვა, საიდანაც შენობაში ნალექიანი ამინდის დროს ჩამოდიოდა წყალი და აზიანებდა შიდა ინფრასტრუქტურას.

- რეაბილიტირდა საბადრაგო სივრცე და საკნები, სადაც ასევე გადაგეგმარების შედეგად, დამატებით მოეწყო ერთი საკანი-სამართალდამცავი ორგანოების მიერ, ბრალდებულის სახით და ადმინისტრაციული წესით დაკავებული პირების მოსათავსებლად.

სენაკის რაიონული სასამართლო

- სასამართლოს შენობაში მოეწყო ხანძრის აღმოჩენის ავტომატური სისტემა (სიგნალიზაცია), რაც მოიცავს: სახანძრო, საგანგაშო, ავარიული განათების და გარე ჰიდრანტის სისტემას;
- შენობა აღიჭურვა, არა მხოლოდ თანამედროვე სტანდარტების მაღალტექნოლოგიური სახანძრო მოწყობილობებით, ასევე სახანძრო სტენდებით, საევაკუაციო გეგმით და პირველადი ქრობის საშუალებებით.

- კვამლის, კომბინირებული, მხუთავი გაზის და ბუნებრივი აირის ავტომატური დამისამართების მგრძნობიარე დეტექტორები დამონტაჟდა მთელს შენობაში, რომლებიც ამოქმედდება კვამლის, მაღალი ტემპერატურის, გაზის და მხუთავი აირის დაფიქსირების დროს. მთელს შენობაში დამონტაჟდა ავარიული განათების სისტემა, რომელიც ემსახურება ხანძრის ან საგანგებო მდგომარეობის შემთხვევაში, ხალხის სწრაფ და ეფექტურ ევაკუაციას;
- სახანძრო სიგნალიზაციის ამოქმედების შემთხვევაში კი, სისტემა ავტომატურად უზრუნველყოფს შენობაში ელექტროენერგიის გათიშვას. განგაშის შესახებ ხმოვანი და SMS შეტყობინება, სპეციალური მოწყობილობის მეშვეობით ეგზავნება სასამართლოს წარმომადგენლებს.

- საერთო სასამართლოების დაკვეთით სარეაბილიტაციო სამუშოები განხორციელდა ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში.

- საპროექტო წინადადებით გათვალისწინებული იყო, ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში, შენობის თანამედროვე სამშენებლო რეგულაციების მოთხოვნებთან და უსაფრთხოების ნორმების გათვალიწინებით, განხორციელებულიყო მნიშვნელოვანი სამუშაოები.

- აღსანიშნავია, რომ ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში, წლებია სარეაბილიტაციო სამუშაოები არ ჩატარებულა, რის გამოც სასამართლოს თანამშრომლებისთვის, აუცილებელი იყო სამუშაო პირობების გაუმჯობესება;

- დეპარტამენტის მიერ დაიგეგმა სასამართლოს შენობის გადახურვის რეაბილიტაცია.

- ვინაიდან, შენობაზე არსებული თუნუქის გადახურვა დაზიანებული იყო და შენობაში ხდებოდა წყლის ჩამოსვლა, პროექტის მიხედვით სრულად უნდა შეცვლილიყო სასამართლოს შენობის გადახურვა;

- რეაბილიტაციის დროს, სრულად მოიხსნა არსებული ძველი თუნუქის დაზიანებული მასალა, რის სანაცვლოდ მოეწყო ახალი თუნუქის პროფირირებული ბურული;

- შენობებზე ასევე სრულად განახლდა წყალგადამყვანი სისტემა

- სასამართლოს შენობისთვის პრობლემური იყო სარინელის არარსებობა, რის გამოც ნალექიანი ამინდის დროს დაგროვილი წყალი ჩაედინებოდა როგორც შენობის საძირკველში, ისე - 0 სართულზე, შესაბამისად ზიანდებოდა სადაბრაგო ბლოკი.



- დეპარტამენტმა აღნიშნული პრობლემის აღმოსაფხვრელად, შენობის მთელ პერიმეტრზე მოაწყო სარინელი, რომელიც შემოისაზღვრა ბაზალტის ბორდიულებით;
- კეთილმოეწყო უკანა ეზო, დაიგო ასფალტბეტონის საფარი, რეაბილიტირდა ჭიშკარი და ღობე.



- გარემონტდა სასამართლოს თანამშრომელთა სამუშაო ოთახები;
- რეაბილიტირდა კიბის უჯრედები და დერეფნები;
- გადაგეგმარების შედეგად მოეწყო სასადილო ოთახი, რომელიც სატენდერო პროცედურების დასრულების შემდგომ აღიჭურვება შესაბამისი ავეჯით.

- დეპარტამენტის დაკვეთით რეაბილიტირდა საბადრაგო სივრცე და საკნები;
- მოეწყო პანდუსი შშმ პირთათვის.

- პროექტის ფარგლებში ფასადზე გაიჭრა კარი სასამართლოს თანამშრომელთათვის-დამოუკიდებელი შესასვლელისთვის.

ახალციხის რაიონული სასამართლო

- იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული, სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის დაკვეთით, ახალციხის რაიონული სასამართლოს შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები განხორციელდა.

- პროექტის მიხედვით სარეაბილიტაციო სამუშაოები განხორციელდა, როგორც შენობის შიდა ინტერიერში ასე გარე პერიმეტრზე;
- რეაბილიტირდა სასამართლოს შენობის დაზიანებული ფასადი;
- განახლდა პორტალი.

ახალციხის რაიონული სასამართლო

- სასამართლოს შენობის ფასადზე მოეწყო ახალი საცრემლეები;
- შენობის შემოსასვლელში შეიცვალა გაზალტის ფილები;
- კეთილმოეწყო ეზო, სადაც დაიგო ბეტონის საფარი.

- გაზალტის ფილებით მოპირკეთდა ასევე კიბის საფეხურები და გაქანი;
- შშმ პირთათვის ცენტრალურ შემოსასვლელში მოეწყო პანდუსი.

- პროექტის ფარგლებში სრულად გარემონტდა საბადრაგო ბლოკი;
- საკნებში მოეწყო მოეწყო ახალი სკამები ბრალდებულთათვის.



- ფოიეში და დერეფნებში დაზიანებული ჭერი შეიცვალა ამსტრონგის ჭერით, თავისი ახალი სანათებით.

- სასამართლოს შენობაში რეაბილიტირდა და კეთილმოეწყო ყველა სამუშაო ოთახი, დამონტაჟდა ახალი სანათები.



- სასამართლოს ძირითადი შენობის მთელ პერიმეტრზე მოეწყო სარინელი ასფალტობეტონის საფარით, რაც უზრუნველყოფს დაცულ იქნეს შენობის საძირკველი წყლის ჩადინებისგან.

სამტრედიის რაიონული სასამართლო

- იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული, სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის დაკვეთით, სამტრედიის რაიონული სასამართლოს შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები განხორციელდა.

- პროექტის ფარგლებში, სრულად შეიცვალა შენობის კოროზირებული გადახურვა, საიდანაც შენობაში ნალექიანი ამინდის დროს, ჩამოდიოდა წყალი და აზიანებდა შიდა ინფრასტრუქტურას;

- შენობაზე ასევე მოეწყო ახალი წყალგადამყვანი სისტემა.

სამტრედიის რაიონული სასამართლო

- პროექტის ფარგლებში გარემონტდა წინა ფასადი;
- რეაბილიტირდა პორტალი, სადაც განთავსდა ახალი წარწერა და გერბი;
- გარემონტდა სველი წერტილები.

- მოეწყო წინა ეზო, ხოლო ეზოს უკანა მხარეს რეაბილიტირდა ღობე;
- შეიცვალა დაზიანებული სანათები როგორც შენობაში, ისე ეზოში;
- სარეაბილიტაციო სამუშაოებმა გაითვალისწინა სარინელის და გამწვანების მოწყობა;
- სრულად რეაბილიტირდა ერთი სველი წერტილი;
- პროექტის ფარგლებში განხორციელდა სხვა მცირე კოსმეტიკური სამუშაოები.

ბოლნისის რაიონული სასამართლო

- საერთო სასამართლოების დეპარტამენტმა სარეაბილიტაციო სამუშაოები დაასრულა ბოლნისის რაიონულ სასამართლოში.

- პროექტის ფარგლებში სრულად შეიცვალა შენობის გადახურვა, რომელიც მოწყობილი იყო ე.წ აზბესტის ფირფიტებით, საიდანაც შენობაში ნალექიანი ამინდის დროს ჩამოდიოდა წყალი და აზიანებდა შიდა ინფრასტრუქტურას.



- პროექტის ფარგლებში სრულად განახლდა სასამართლოს მთავარი შესასვლელის პორტალის გადახურვა;
- მოეწყო შშმ პირთათვის პანდუსი;
- თუნუქის ფურცლებით შეიფუთა მსჯავრდებულთა შესასვლელი კიბე და ბაქანი.





- ბოლნისის რაიონულ სასამართლოში, ასევე პროექტის ფარგლებში კეთილმოეწყო წინა ეზო;
- გარემონტდა კიბის უჯრედები.

- რეაბილიტირდა სასამართლოს შენობის ფოიე, დერეფნები, საპირფარეშოები;
- სრულად რეაბილიტირდა საბადრაგო სივრცე და საკნები.

თელავის რაიონული სასამართლო

- საერთო სასამართლოების დეპარტამენტის დაკვეთით, თელავის რაიონულ სასამართლოში განხორციელდა სარეაბილიტაციო სამუშაოები.

- პროექტის ფარგლებში განხორციელდა, თელავის რაიონულ სასამართლოს შენობის ფასადის სრული რეაბილიტაცია.



- პროექტი ასევე ითვალიწინებდა, შენობის მიმდებარე ეზოს კეთილმოწყობას;
- რეაბილიტირდა ღობე;
- სრულად გარემონტდა საბადრაგო სივრცე და საკნები;
- მოეწყო პანდუსი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის;
- შენობაში განთავსდა ტაქტილური ბილიკები;
- გენერატორისთვის მოეწყო სადგომი ფილა და მოეწყო ბორდიურები.

ახმეტის მაგისტრატი სასამართლო



- სარეაბილიტაციო სამუშოები დასრულდა ახმეტის მაგისტრატ სასამართლოში.



- პროექტის ფარგლებში ახმეტის მაგისტრატ სასამართლოში რეაბილიტაცია ჩაუტარდა ფასადს;
- გარემონტდა ღობე;
- შშმ პირთათვის მოეწყო პანდუსი.

- საერთო სასამართლოების დეპარტამენტმა სარეაბილიტაციო სამუშაოები დაასრულა საგარეჯოს მაგისტრატ სასამართლოში.



- პროექტის ფარგლებში სახურავზე შეიცვალა წყალშემკრებები ღარები და ჟოლოფები;
- რეაბილიტაცია ჩაუტარდა პორტალს (შეიცვალა ასოები და გერბი);
- მოეწყო სარინელი შენობის ირგვლივ, რითაც აღმოიფხვრება საძირკველში წყლის ჩადინება.

საგარეჯოს მაგისტრატი სასამართლო

- ❑ პროექტის ფარგლებში განახლდა ღობე;
- ❑ შენობის წინ დაიგო ბაზალტი და მოეწყო შშმ პანდუსი;
- ❑ მოსამართლის ოთახში და დერეფნებში ჩატარდა სამღებრო სამუშაოები;
- ❑ შეიცვალა ოთახის სანათები.

- ❑ მოეწყო სახურავზე ასასვლელი კიბე;
- ❑ შეიცვალა ცენტრალური და სათადარიგო კარები;
- ❑ მოეწყო ახალი საცრემლეები.

- მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები განხორციელდა მცხეთის რაიონული სასამართლოს ტერიტორიაზე.

- სასამართლოს შენობის უკანა ეზო იყო დაუცველი უცხო პირთა შესვლისაგან. დეპარტამენტმა დაგეგმა დაცული ყოფილიყო აღნიშნული ტერიტორია და ამისთვის არსებული კედელი ამაღლდა და მასზე მოეწყო რკინის მაღალი ღობე;
- ასევე რეაბილიტირდა სასამართლოს ეზოს წინა შემოსასვლელი;
- მოეწყო სახანძრო კიბე.

- საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მხრიდან, ტექნიკური დავალების მოთხოვნის შესაბამისად, საპროექტო ორგანიზაციამ განხორციელა, ხაშურის რაიონული სასამართლოს შენობის სარეზერვო წყალმომარაგების ქსელის შესწავლა და განხილვა, რომლის შედეგად საჭირო გახდა ახალი სარეზერვო წყალმომარაგების ჭის მოწყობა, მაგისტრალური d=40 მმ პოლიეთილენის მილსადენის და ჩაძირული ტუმბოს მოწყობის პროექტის მომზადება;



მუშა პროექტის შესადგენად ჩატარდა საველე სამუშაოები:

- ინვენტარიზაცია;
- ტოპო-გეოდეზიური გადაღება;
- შეიქმნა ტოპოგრაფიული რუქა;
- ასევე გეოლოგიური, ჰიდროგეოლოგიური და გეოფიზიკური კვლევა წყალმომარაგების ჭის განთავსების ტერიტორიაზე;
- საპროექტო სამუშაოების პერიოდში შესრულდა წყალმომარაგების ჭის და მილსადენის ტოპო გეოდეზიური აგეგმვა.

საპროექტო დოკუმენტაციის მომზადებისას შესწავლილი იქნა ხაშურის რაიონული სასამართლოს წყალმოთხოვნილება კერძოდ: თანამშრომლებთა რაოდენობა და მაქსიმალური ვიზიტორთა რაოდენობა, რის მიხედვითაც განისაზღვრა, ხაშურის რაიონული სასამართლოს შენობის წყალმოთხოვნილება;

საპროექტო ტერიტორიის, კერძოდ სასამართლო შენობის მიმდებარე ტერიტორიებზე, განხორციელდა ჰიდროგეოლოგიური პარამეტრების ანალიზი, საპროექტო რაოდენობის წყლის მისაღებად. ჩატარებული ვიზუალური რეკოგნოსცირების, ფონდური და ლიტერატურული მასალების დამუშავებისა, ასევე გეოფიზიკური კვლევის შედეგად თეორიულ და პრაქტიკულ გამოცდილებაზე დაყრდნობით შემუშავდა შესაბამისი პროექტი.

საინჟინრო-გეოლოგიურმა, ჰიდროგეოლოგიურმა და გეოფიზიკური კვლევებმა მოიცვა:

- ❖ ადგილმდებარეობის ვიზუალური დათვალიერება;
- ❖ სარქივო მასალების შესწავლა;
- ❖ ასევე ადგილზე გეოფიზიკურ კვლევები;
- ❖ წყალმომარაგების ჭის ტერიტორიაზე ინვენტარიზაციის დროს, საინჟინრო ჯგუფის მიერ შესწავლილი იქნა სასამართლო შენობის წყალმომარაგების სისტემა.

- ❑ ხაშურის რაიონული სასამართლოს 24 საათიანი წყლით მომარაგების უზრუნველყოფის მიზნით, კონსტრაქტორ კომპანიასთან ჭის მოწყობის მიზნით, გაფორმდა ხელშეკრულება.
- ❑ პროექტის მიხედვით, სამუშაოთა წარმოების ტექნოლოგიური ციკლიდან გამომდინარე, განხორციელდა ახალი სარეზერვო წყალმომარაგების ჭის და წყალმომარაგების დ=40 მმ პოლიპროპილენის მოწყობა, ხაშურის რაიონული სასამართლო შენობის, მეორე სათადარიგო სამანქანო გზის შესასვლელის ბოლოში;
- ❑ ასევე განხორციელდა ჩაძირული ტუმბოს განთავსება ჭის ძირში და მიერთება სასამართლოს შენობის წყალმომარაგების ქსელთან, ხოლო ტუმბოს გამოსასვლელში დაუყენდა უკუსარქველი;
- ❑ წყლის კანონის შესაბამისად, წყლის აღრიცხვის კვანძი მოეწყო წყლის მოპოვებიდან ეგრევე ანუ ტუმბოს შემდეგ, ვიდრე წყლის განაწილება განხორციელდება წყალმომარაგების ქსელში;
- ❑ ქალაქ ხაშურის კლიმატური პირობებიდან გამომდინარე, წყლის მიწოდების გაყინვის თავიდან ასაცილებლად წყალმომარაგების ქსელი განთავსებულია მიწაში, რაც იცავს მილსადენებს გაყინვისგან;
- ❑ შესაბამისად, სამუშაოების დასრულების შემდგომ, სასამართლო აღიჭურვა წყლით მომარაგების სარეზერვო სისტემით, რაც გულისხობს, რომ ქალაქის წყლის გათიშვის შემთხვევაში, სასამართლოს შენობა, წლის ნებისმიერ პერიოდში, გარანტირებულად უზრუნველყოფილი იქნება ტექნიკური წყლით.

სასამართლოს შენობებში სარეზერვო კვების წყაროების - გენერატორების მონტაჟი

- საერთო სასამართლოს დეპარტამენტი, სასამართლოს შენობებისთვის სარეზერვო კვების წყაროების - გენერატორების სიმძლავრეების ოპტიმიზაცის სამუშაოებს ახორციელებს;

- სასამართლოს შენობებში არსებული გენერატორები მოძველებული ან/და ამორტიზირებულია. ასევე, სასამართლოს პერსონალის რაოდენობის და შესაბამისად, ელ.ტექნიკის ელ.ენერგიის მოხმარების ზრდის გამო, არსებული გენერატორების სიმძლავრეები საკმარისი აღარ არის.

- არსებული საბიუჯეტო დაფინანსებების ფარგლებში, დაწყებულია ახალი გენერატორების მონტაჟის პროცედურები, ხოლო ის მეორადი ვარგისი გენერატორები გადატანილი იქნება იმ სასამართლოების შენობებში, რომელთა სიმძლავრეებიც საკმარისი იქნება სასამართლოების სარეზერვო ელ.მომარაგებისთვის;

- საერთო სასამართლოების დეპარტამენტმა განხორციელა ქუთაისის, რუსთავის, ფოთის საქალაქო, თეთრიწყაროს რაიონული, მარნეულის, ჭიათურის, ქობულეთის და ხობის მაგისტრატ სასამართლოებში გენერატოების მოწყობის საპროექტო სამუშაოები.

სასამართლოს შენობებში სარეზერვო კვების წყაროების - გენერატორების მონტაჟი

- საპროექტო შესწავლით დადგინდა, თუ რომელ სასამართლოს შენობას როგორი სიმძლავრის გენერატორი ესაჭიროებოდა და არსებული სიტუაციის შესწავლით დადგინდა შემდეგი:
  - აკმაყოფილებდა თუ არა არსებული მოქმედი გენერატორი, ობიექტის სარეზერვო ელექტრო ენერგიით უზრუნველყოფისათვის საჭირო მოთხოვნებს;
  - საჭირო იყო თუ არა მისი შეცვლა უფრო მძლავრი დიზელგენერატორით;
  - საპროექტო წინადადება ასევე ითვალიწინებდა ობიექტის აღჭურვას ტექნიკურად გამართული სარეზერვო ელექტრო მიწოდების სისტემით.

- ამ ეტაპზე შესწავლილი იქნა თერთმეტი სასამართლოს შენობაში არსებული მდგომარეობა, ობიექტის სარეზერვო ელექტრო მომარაგებასთან დაკავშირებით;
- საპროექტო დავალების მიხედვით ორგანიზაციამ, მოამზადა როგორც ახალი ისე მეორადი დიზელ-გენერატორის მონტაჟის პროექტები;

  პროექტით განისაზღვრა შემდეგი საკითხები:
  - გენერატორისათვის რკინა-ბეტონის სადგამის პარამეტრები;
  - დაპროექტდა შენობის ელ.კვების გენერატორზე დაერთების ელ.სქემა;
  - განისაზღვრა ავტომატური გადამრთველის სქემა;
  - მომზადდა ელ.სამონტაჟო სამუშაოების პროექტი და ხარჯთაღრიცხვა.

სასამართლოს შენობებში სარეზერვო კვების წყაროების - გენერატორების მონტაჟი

- მშენებლობის ორგანიზაციის პროექტის დამუშავებას საფუძვლად დაედო:
  - პროექტით მიღებული კონსტრუქციული გადაწყვეტილებები;
  - მშენებლობის სიტუაციური გეგმა;
  - ობიექტის ნატურაში დათვალიერება.

- მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი შესრულდა, მოქმედი სამშენებლო ნორმების, წესებისა და სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისად, ნორმატიული დოკუმენტების დაცვით. დამუშავებული პროექტის მიხედვით მშენებლობაში გამოყენებულ იქნა ნაკლებად ტოქსიკური სამშენებლო მასალები, რომლებიც არ იმოქმედებენ:

ა. ადამიანის ჯამრთელობაზე;

ბ. არ დააზიანებს მცენარეულ საფარს;

გ. ხელს არ შეუწყობს ჰაერის მოსალოდნელ დაბინძურებას;

დ. არ გამოიწვევს ხმაურის დონის აწევას და მის ზემოქმედება საცხოვრებელ გარემოზე.

პირველ ეტაპზე, ახალი გენერატორი შესყიდულ და დამონტაჟებული იქნა თბილისის სააპელაციო სასამართლოში, ხოლო ქუთაისის, რუსთავის, ფოთის საქალაქო, თეთრიწყაროს რაიონული, მარნეულის, ჭიათურის, ქობულეთის და ხობის მაგისტრატ სასამართლოებში, მიმდინარეობს საპროექტო დოკუმენტაციით განსაზღვრული სამუშაოების მიხედვით, სარეზერვო კვების წყაროების-გენერატორების მონტაჟის სამუშოები.

- აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დეპარტამენტი მყისიერ რეაგირებას ახდენს, სასამართლოს შენობებში წარმოქნილი სხვადასხვა ტექნიკური გაუმართაობის შემთხვევაში და უმოკლეს ვადაში აღადგენს სასამართლოს თანამშრომელთათვის შესაბამის სამუშაო პირობებს.

სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო

- 2022 წლის განმავლობაში, სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების გეგმამ, საბიუჯეტო სახსრების ფარგლებში შეადგინა 24 820 000 ლარი;
- საკუთარი სახსრების ფარგლებში - 180 000 ლარი;
- სხვადასხვა საქონლის, მომსახურებისა და სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის მიზნით 2022 წლის საბიუჯეტო სახსრებით დადებულია 310 ხელშეკრულება;
- საკუთარი სახსრებით დადებულია 86 ხელშეკრულება.

საერთო სასამართლოების დეპარტამენტის ავტოპარკი

- საერთო სასამართლოების დეპარტამენტი 2016 წლიდან ახორციელებს, სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის ბალანსზე რიცხული ავტომობილების დაზღვევას;
- 2022 წელს დაზღვეული იქნა, დეპარტამანეტის ბალანსზე რიცხული 112 ავტომობილი, საერთო თანხით 49222.10 ლარი;
- 2022 წლის განმავლობაში სადაზღვევო შემთხვევების დადგომის შედეგად, სადაზღვევო კომპანიის მიერ ანაზღაურებულია დაახლოებით 47955.30 ლარი.

- დეპარტამენტის ბალანსზე რიცხული ავტოპარკის გამართული და შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის, დეპარტამენტის მიერ განხორციელდა შესაბამისი რაოდენობის საწვავის, საქონლის და ტექნიკური მომსახურებების შესყიდვა.

2022 წელს საერთო სასამართლოების მასშტაბით IT მიმართულებით განხორციელებული ძირითადი პროექტები

- 2022 წლის დასაწყისისთვის გაფორმებულ იქნა ხელშეკრულებები სხვადასხვა კომპანიებთან, უწყვეტი სერვისების მომსახურებაზე, მაგ:

- ✓ თბილისის სააპელაციო და საქალაქო სასამართლოებში რენდგენო სკანერის აპარატის საგარანტიო სერვისის მომსახურებაზე;
- ✓ საერთო სასამართლოების ინტერნეტ მომსახურებაზე;
- ✓ სხდომათა დარბაზებში არსებული AVIGILON INC საგარანტიო სერვისზე;
- ✓ ოპტიკურ ბოჭკოვანი არხის და წვერის მომსახურების სერვისებზე;
- ✓ სასერვერო ინფრასტრუქტურის მხარდაჭერის და საგარანტიო სერვისზე (დატა-ცენტრის);
- ✓ სატელეფონო კავშირის სერვისებზე (როგორც მობილური კავშირგაბმულობის და VOIP მომსახურებაზე, ასევე ანალოგური სატელეფონო მომსახურებაზე);
- ✓ საერთო სასამართლოების დეპარტამენტისათვის და საერთო სასამართლოებისათვის საინფორმაციო-საძიებო კომპიუტერული სისტემის „კოდექსი R4"-ით მომსახურებაზე და სხვა სერვისებზე, რომელთა უწყვეტ რეჟიმში მუშაობა აუცილებელია საერთო სასამართლოების სრულყოფილად ფუნქციონირებისათვის.

- **ასევე ინფორმატიზაციისა და კავშირგაბმულობის სამმართველო, 2022 წლის განმავლობასი განახორციელა სხვა პროექტებიც:**

- ✓ თბილისის სააპელაციო სასამართლოს შენობაში, ელერქტრონული საკეტების და სასამართლოს შენობაში თანამშრომელთა აღრიცხვის სისტემის მონტაჟი;
- ✓ თბილისის საქალაქო სასამართლოს შენობაში, არსებული დროებითი მოთავსების საქმეებში ახალი ვიდეო რეგისტრატორის შესყიდვა და ინსტალაცია -კონფიგურაცია.

IT მიმართულებით განხორციელებული ძირითადი პროექტები

- ქუთაისის სააპელაციო სასაამრთლოს შენობაში განხორციელდა თანამშრომელთა აღრიცხვის სისტემის მონტაჟი;
- ქვეყნის მასშტაბით არსებულ რაიონულ და საქალაქო სასამართლოს შენობებში შეძენილ იქნა 25 ცალი მაღალი წარმადობის მქონე უწყვეტი კვების წყარო;

- შეძენილ იქნა 4 ცალი მაღალი წარმადობის სკანერი;
- შეძენილ იქნა სამსახურებრივი ბარათების საბეჭდი პრინტერი.

- განხორციელდა 8 სასამართლოს შენობის ვიდეო უსაფრთხოების სისტემით აღჭურვა.

IT მიმართულებით განხორციელებული ძირითადი პროექტები

- 2022 წელს ასევე განხორციელდა საერთო სასამართლოებისათვის 250 ცალი სტანდარტული ტიპის უწყვეტი კვების წყაროს შეძენა;
- საერთო სასამართლოებში არსებული ელექტრონული ფოსტის უსაფრთხოების სისტემისთვის განხორციელდა 3 წლიანი ლიცენზიის შესყიდვა.

- განხორციელდა საერთო სასამართლოებისთვის ქსელური უსაფრთხოების გადაწყვეტილების შესყიდვა თანმდევი მონტაჟით.

- საერთო სასამართლოებში არსებული ქსელური და სერვერული ინფრასტრუქტურისთვის, SolarWinds ლიცენზიების შეძენა თანმდევი მონტაჟით;
- საერთო სასამართლოებში არსებული ვებ სერვისებისთვის კრიპტოგრაფიული უსაფრთხოების Wildcard ტიპის (SSL/TLS) და 1 (ერთი) ერთეული სტანდარტული SSL სერტიფიკატის შეძენა;
- საერთო სასამართლოებში არსებული ანტივირუსული პროგრამის (bitdefender gravityzone business security) 2800 ლიცენზიის შეძენა 1 წლის ვადით.

IT მიმართულებით განხორციელებული ძირითადი პროექტები

- დასრულდა საერთო სასამართლოებისთვის აუდიო ნაწილების შეძენა ;
- საერთო სასამართლოებისთვის განხორციელდა 200 ცალი კომბინირებული პრინტერის შეძენა;
- საერთო სასამართლოებში არსებული სხდომათა დარბაზებისთვის, შეძენილ იქნა 50 ცალი აუდიო მიქშერი.

- საერთო სასამართლოებისთვის განხორციელდა 200 ცალი მაგიდის კომპიუტერის შეძენა ;
- სენაკის რაიონულ სასამართლოს შენობაში, მოეწყო სტრუქტურირებული საკაბელო ინფრასტრუქტურა (კომპიუტერული ქსელი და ვიდეო უსაფრთხოებისთვის სისტემისთვის);
- განხორციელდა საერთო სასამართლოებში არსებული ჩექპოინტის ფაერვოლის კლასტერისთვის მწარმოებლის გარანტიის, სერვისის და საპორტის განახლების 2 წლიანი სერვისის შესყიდვა ;
- საერთო სასამართლოების სასერვერო ინფრასტრუქტურისთვის შეძენილ იქნა, ჰიპერ-კონვერგენტული ინფრასტრუქტურის აპარატურულ-პროგრამული კომპლექტი თანმდევი მონტაჟით.

საერთო სასამართლოების არქივი

- 2022 წლის მდგომარეობით, საერთო სასამართლოების არქივში ინახება-დაახლოებით სამი მილიონი საქმე. აღნიშნულ საქმეთა რაოდენობა არის ცვალებადი, ვინაიდან ყოველდღიურ რეჟიმში მიმდინარეობს სასამართლოების მიერ საქმეთა გათხოვა. საქმეთა პირველადი შემოსვლა არქივში შესანახად, სამივლინებო საქმიანობის ფარგლებში წარმოებს სასამართლოების მიერ დასრულებულ საქმეთა მიღება-ჩაბარება და მათ განთავსება სასამართლოებისათვის გამოყოფილ შესაბამის ფონდებში.

- დღეის მდგომარეობით, საანგარიშო პერიოდში სამივლინებო საქმიანობის შედეგად, თბილისში მდებარე არქივში შესანახად მიღებულია რუსთავის საქალაქო სასამართლოს მიერ 2018 წელს დასრულებული როგორც ძირითადი, ასევე სხვადასხვა კატეგორიის 6107 საქმე. თბილისის საქალაქო სასამართლოს 20018 წლის როგორც ძირითადი, ასევე სხვადასხვა კატეგორიის 59490 საქმე, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010-2012, 2016-2019წწ 7968 საქმე- სულ 73565 საქმე.

საერთო სასამართლოების არქივი

- ქობულეთში, ქუთაისსა და ხობში მდებარე არქივში, განთავსებულია როგორც ძირითადი, ასევე სხვადასხვა კატეგორიის საქმეები - სულ 81611 საქმე;

- სულ დღეის მდგომარეობით, სამივლინებო საქმიანობის შედეგად არქივში შესანახად შემოსულია 155.176 საქმე;

- იმის გათვალისწინებით, რომ ზემოაღნიშნულ ქალაქებში განთავსებულ საცავებში არ არის თავისუფალი ფართი, ჩვენს მიერ განხორციელდა ხობში მდებარე არქივის შემოერთებული ახალი ფართის სრული ათვისება, სადაც განლაგდა 27 სხვადასხვა ტევადობის სტელაჟი, ასევე არსებულ საცავში ტექნიკური სამუშაოების განხორციელების შედეგად, განთავსადა 21 ახალი სტელაჟი დაახლოებით 67000 საქმისთვის;

- აღსანიშნავია, რომ ფართის უქონლობის გამო, ხობში მდებარე არქივში განთავსებულია ქობულეთსა და ქუთაისში მდებარე არქივსაცავების სამივლინებო საქმიანობის შედეგად მიღებული საქმეების უდიდესი ნაწილი.

- საქმეთა დიდ რაოდენობისა და ფართის სიმცირის გათვალისწინებით, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2021 წლის 17 ნოემბრის # 1/196 განკარგულებით, საერთო სასამართლოების მიერ დასრულებულ საქმეთა შენახვის წესში, ჩვენი ინიციატივით, განხორციელდა მნიშვნელოვანი ცვლილება სხვადასხვა კატეგორიის საქმეთა შენახვის ვადებში, რამაც მოგვცა შესაძლებლობა გამოთავისუფლებულიყო სივრცე დასრულებულ საქმეთა მისაღებად;

- აღნიშნული ცვლილების საფუძველზე, 2022 წლის წლის 05 მაისის დეპარტამენტის მუდმივმოქმედი საექსპერტო კომისიის #1 სხდომის ოქმით, მოწონებულ და შემდეგში კანონმდებლობით დადგენილი წესით განადგურებულ იქნა, თბილისში მდებარე არქივში დაცული 31 რაიონის 184008 საქმე, ქუთაისში მდებარე არქივში დაცული 13 რაიონის 17586 საქმე, ხობში მდებარე არქივში დაცული 7 რაიონის 15726 საქმე, ქობულეთში მდებარე არქივში დაცული 9 რაიონის 14233 საქმე სულ საერთო სასამართლოების არქივში დაცული 231.553 საქმე (44.160 ტონა).

- ინტენსიურად მიმდინარეობს მუდმივმოქმედი საექსპერტო კომისიისთვის წარსადგენად, სხვადასხვა რაიონის სასამართლოების მიერ დასრულებულ საქმეთა დასამუშავებლად და გასანადგურებლად გამოსაყოფი საქმეების აღწერა.

საერთო სასამართლოების არქივი

- 2016 წლიდან დაწყებული საინვენტარიზაციო საქმიანობის ფარგლებში, 2022 წლის განმავლობაში, აღწერილ იქნა და შესაბამის ფონდებში განლაგდა, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2005, 2006, 2009-2010წწ სხვადასხვა კატეგორიის 2312 საქმე, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007-2008, 2010-2012 წლის სხვადასხვა და საარბიტრაჟო წარმოების სულ 4156 საქმე, ასპინძის, ბოლნისის, გორის, თიანეთის, მარნეულის, რუსთავისა და ყვარელის, სხვადასხვა კატეგორიის 863 - სულ 7335 საქმე, აღნიშნულ საქმეთა ელექტრონული საძიებო ცხრილები განთავსდა, არქივის შიდა ერთიან საძიებო სისტემაში.

- არქივი ყოველდღიურ რეჟიმში იღებს, საერთო სასამართლოების სიტემაში შემავალი სასამართლოებიდან შემოსულ საქმეებს (3590 საქმე), ასევე განცხადებებს და შესაბამის კონსულტაციას უწევს მოქალაქეებს, სახელმწიფო დაწესებულებების და ორგანიზაციების, ასევე სხვა იურიდიულ პირთა წარმომადგენლებს და გასცემს შესაბამის დოკუმენტაციას;

- საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, სსიპ ეროვნული არქივის შესაბამისი სამსახურის მიერ, განხორციელდება არქივში დაცული დეპარტამენტის მიერ ნაწარმოები და საერთო სასამართლოების მიერ 1925-1990 წწ დასრულებეულ საქმეთა სამეცნიერო-ტექნიკური დამუშავება.

„საქართველოს 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით 2022 წელს საერთო სასამართლოებისა და სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტის დაფინანსებისათვის განისაზღვრა 96,78 მილიონი ლარი. ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით ასიგნებები გადანაწილდა შემდეგი სახით:

						თანხა ლარებში
კოდი	დასახელება	2022 წლის დამტკიცებული გეგმა (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე)	განხორციელებული ცვლილებები	2022 წლის დაზუსტებული გეგმა (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე)	საკასო ხარჯი 01.01.2023 წლის მდგომარეობით	შესრულება %
09 01	საერთო სასამართლოების სისტემის განვითარება და ხელშეწყობა	96 780 000	0	96 780 000	87 076 995	90.0%
	ხარჯები	80 760 000	2 340 000	83 100 000	81 448 823	98.0%
	შრომის ანაზღაურება	61 500 000	-554 000	60 946 000	60 806 092	99.8%
	საქონელი და მომსახურება	17 650 000	2 340 000	19 990 000	18 583 395	93.0%
	სოციალური უზრუნველყოფა	830 000	554 000	1 384 000	1 380 898	99.8%
	სხვა ხარჯები	780 000		780 000	678 437	87.0%
	არაფინანსური აქტივების ზრდა	16 020 000	-2 340 000	13 680 000	5 628 173	41.1%



2022 წლისათვის საკუთარი სახსრების შემოსულობები განისაზღვრა 366 ათასი ლარით, ხოლო გადასახდელები - 238 ათასი ლარით.

					თანხა ლარებში	
კოდი	დასახელება	2022 წლის გეგმა - საკუთარი სახსრები (დამტკიცებული)	განხორციელებული ცვლილებები	2022 წლის გეგმა - საკუთარი სახსრები (დაზუსტებული)	მიღებული შემოსავალი და გაწეული საკასო ხარჯი 01.01.2023 წლის მდგომარეობით	შესრულება %
09 01	საერთო სასამართლოების სისტემის განვითარება და ხელშეწყობა					
	შემოსულობები	366 000	0	366 000	618 522	169.0%
	გადასახდელები	200 000	38 000	238 000	124 664	52.4%
	ხარჯები	115 000	38 000	153 000	114 553	74.9%
	საქონელი და მომსახურება	100 000	38 000	138 000	100 207	72.6%
	სხვა ხარჯები	15 000		15 000	14 346	95.6%
	არაფინანსური აქტივების ზრდა	85 000		85 000	10 111	11.9%
	ნაშთის ცვლილება	166 000	-38 000	128 000	493 858	

საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 54-ე მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად სსიპ – საერთო სასამართლოების დეპარტამენტის ფინანსური უზრუნველყოფა ხორციელდება, როგორც საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ასევე საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა შემოსავლებიდან (საკუთარი სახსრებიდან).

სარჩევი

1. თბილისის სააპელაციო სასამართლო 3
2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლო 11
3. ქუთაისის საქალაქო სასამართლო 20
4. ფოთის საქალაქო სასამართლო 25
5. რუსთავის საქალაქო სასამართლო 34
6. სენაკის რაიონულ ი სასამართლო 37
7. ზესტაფონის რაიონული სასამართლო 42
8. ახალციხის რაიონული სასამართლო 47
9. სამტრედიის რაიონული სასამართლო 51
10. ბოლნისის რაიონული სასამართლო 54
11. თელავის რაიონული სასამართლო 57
12. ახმეტის მაგისტრატი სასამართლო 59
13. საგარეჯოს მაგისტრატი სასამართლო 61
14. მცხეთის რაიონული სასამართლო 63
15. ხაშურის რაიონული სასამართლო 64
16. სასამართლოს შენობებში სარეზერვო კვების წყაროების-გენერატორების მონტაჟი 66
17. სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო 69
18. საერთო სასამართლოების დეპარტამენტის ავტოპარკი 69
19. 2022 წელს საერთო სასამართლოების მასშტაბით IT მიმართულებით განხორციელებული ძირითადი პროექტები 70
20. საერთო სასამართლოების არქივი 74
21. 2022 წელს დეპარტამენტის დაფინანსება 78

ᠬᠤᠳᠠᠯᠳᠤᠨ ᠬᠤᠪᠢᠯᠠᠭᠠᠨᠤᠳ ᠪᠣᠯᠣᠨ ᠬᠤᠪᠢᠯᠠᠭᠠᠨᠤᠳ